“ზენიტი” (ლენინგრადი) – “დინამო” (თბილისი)

ლენინგრადი. (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან).

15 მაისს აქ გაიმართა საინტერესო მატჩი “ა” კლასის გუნდებს, ლენინგრადის “ზენიტსა” და თბილისის ‘”დინამოს” შორის. მიუხედავად იმისა, რომ წვიმდა, ს.მ. კიროვის სახელობის სტადიონი სავსე იყო მაყურებლებით.

თამაშის დასაწყისში ლენინგრადელებმა სწრაფი ტემპი შესთავაზეს მოწინააღმდეგეს. მათი თავდამსხმელები სახიფათოდ გადიოდნენ დინამოელთა კართან, მაგრამ ვერ შეძლეს რამდენიმე ხელსაყრელი მდგომარეობის გამოყენება.

შემდგომში თბილისელებმა გაათანაბრეს თამაში და მალე ინიციატივა მათ ხელში გადავიდა. “ზენიტის” კარი ორჯერ აღმოჩნდა რეალური საშიშროების წინაშე. 41–ე წუთზე ლენინგრადელთა მხარეს დანიშნულ იქნა კუთხური საჯარიმო. თბილისელებმა გაითამაშეს სწრაფი კომბინაცია – კ. გაგნიძე–კოტრიკაძე–ღოღობერიძე. ამ უკანასკნელმა თავით მიიღო ბურთი და ზუსტად გაგზავნა იგი ბადეში – 1:0.

მეორე ტაიმში ბრძოლა უაღრესად გამწვავდა. “ზენიტი” მთელი მონდომებით და ენერგიით ცდილობდა შეეცვალა ანგარიში, მაგრამ დინამოელთა დაცვა წარმატებით ებრძოდა მოწინააღმდეგის თავდასხმას თამაშის დასასრულამდე.

დაძაბული მატჩი დამთავრდა თბილისის “დინამოს” გამარჯვებით, ანგარიშით 1:0.

შესანიშნავად ჩაატარეს თამაში თბილისელთა დუბლიორებმა, რომელთაც დაამარცხეს “ზენიტი” დიდი ანგარიშით 5:2.

ვ. ფედოროვი.

“ლელო”, 18 მაისი, 1955 წ.